ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის
(არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი)

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი
2013

NEW VISION UNIVERSITY
NON-ENTREPRENEURIAL (NON-COMMERCIAL) LEGAL ENTITY

CHARTER

Tbilisi
2013

1. ზოგადი დებულებები

1. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (ინგლისურად - New Vision University, NVU) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში - დაწესებულება).
2. დაწესებულების სამართალსუბიექტობა წარმოიშობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. დაწესებულებას შესაძლებელია ჰქონდეს განცალკევებული ქონება და ბალანსი, მათ შორის: ანგარიშები ბანკში, ბეჭედი, ემბლემა და სხვა სიმბოლიკა.
3. დაწესებულების იურიდიული მისამართია: თბილისი, 0159, ნოდარ ბოხუას ქ. №11.
4. დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@newvision.ge.

1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2021 წლის 3 სექტემბერიდან

2. საქმიანობის საგანი

1. დაწესებულების საქმიანობის საგანია არამომგებიანი (არაკომერციული) საგანმანათლებლო საქმიანობა. ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რაც კანონით არ არის აკრძალული, ხორციელდება
2. ყველა სახის შემოსავალი, რომლის მიღებაც დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით, სრულად ხმარდება დაწესებულების მიზნების განხორციელებას.
3. საქმიანობას, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს სპეციალურ ნებართვას (ავტორიზაცია/აკრედიტაცია), დაწესებულება წარმართავს შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ.

3. მისია, მიზნები და ხედვა

1. უნივერსიტეტის მისიაა ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით. უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდს, დახვეწოს და გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების საკეთილდღეოდ. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას და ასევე ხელს უწყობს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს სტუდენტებისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.
2. დაწესებულების მიზანია:

1. GENERAL PROVISIONS

1. New Vision University (in English - New Vision University, NVU) is a Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity (hereinafter - "the Institution").
2. The Institution shall become a Legal Entity upon its registration in the Register of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial Legal Entities. The Institution may own the personal property and balance, amongst them: the bank accounts, seal, emblem and other symbolism.
3. The registered address of the Institution shall be as follows: 11 Nodar Bokhua str., Tbilisi 0159.
4. The e-mail of Institution shall be as follows: info@newvision.ge.

The revision of paragraph 3 of Article 1 is effective from September 3, 2021

2. FIELD OF ACTIVITY

1. The field of activity of the Institution shall be non-profit (non-commercial) educational activity. Any other activity, not prohibited by law, shall serve as an auxiliary media for the discharge of the foregoing.
2. All the revenues, receivable under the Applicable Law of Georgia, shall be fully disbursed for the attainment of the goals of the Institution.
3. Any activity subject to a special State License (authorization/accreditation) shall be carried out by the Institution only after obtaining the mentioned license.

3. MISSION AND GOALS

1. The mission of the Institution is to expand the human vision through the promotion of education, research and innovation. The University inspires individuals to advance and share knowledge, skills and values to contribute to the well-being of society. NVU is committed to social responsibility and also promotes equal access to education for students from around the world.
2. The goals of the Institution shall be:
   a) to offer educational programs promoting the free development of an individual. "A student creates his/her own profile": The educational programs are

ა) პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება. „სტუდენტი ქმნის თავის პროფილს“: საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტის თავისუფალ არჩევანზე – გამოიმუშაოს ძირითადი სპეციალობის ფარგლებში სასურველი კომპეტენციები და შეიძინოს დამატებითი სპეციალობა, ან მოახდინოს სხვადასხვა პროგრამის კომპონენტების თავისუფალი კონცენტრაცია;

ბ) აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევებისა და მათში სტუდენტის ინტეგრირების წახალისება;

გ) სიახლის დანერგვის ფორმების განვითარება.

3. უნივერსიტეტი ქმნის ღია, ინოვაციურ და თანამშრომლობით გარემოს, რათა სტუდენტთა ჩართულობით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. თანაბარი ხელმისაწვდომობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების სტუდენტზე ორიენტირებულ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს. სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოსა და ბიზნესის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტი ესწრაფვის ცოდნისა და ინოვაციების გავრცელებას ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებაში. ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს ფორმირების პასუხისმგებლობის გაზიარებით, უნივერსიტეტი ახალისებს გარემოსდაცვით განათლებას საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მის დასაცავად ერთობლივი მოქმედებისათვის. ცოდნის შექმნით, გაფართოება-გავრცელებითა და კვალიფიციური კადრების მომზადებით უნივერსიტეტი ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლასა და მდგრადობას.

მე-3 მუხლის მოცემული რედაქცია ძალაშია 2018 წლის 1 მარტიდან

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრიდან

4. მართვის ორგანოები

1. დაწესებულების მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო და ძირითადი

oriented on the free choice of a student - to develop the desirable competencies in the major field of study and acquire an additional specialty or arrange for free concentration of the components of various programs;

b) to promote the establishment of the standards of academic honesty and integrity, encouragement of the research activities of the Institution academic personnel and integration of students into this process;

c) to develop the various models of introduction of novelties.

3. NVU aspires to create an open, innovative and collaborative environment, to ensure student engagement and to serve the society on a national and international scale. Upholding equal access and equity, the University adheres to diverse student-centered education and lifelong learning opportunities. By collaborating with Representative of Civil Society, State and Industry, NVU strives to spread knowledge and innovation in local and global communities. Committed to the establishment of an eco-friendly environment, the University supports environ better understand and act collaboratively for its protection. The University is committed to the creation and dissemination of knowledge and the preparation of professionals to support economic growth and sustainability.

The revision of Article 3 is effective from March 1, 2018

The revision of sub-clause b) of paragraph 2 of Article 3 is effective from September 1, 2023

4. MANAGERIAL BODIES

1. The managerial bodies of the institution shall be: the Academic Board, the Board of a basic educational and research unit - School.

საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეულის - სკოლის საბჭო.

2. ორგანოები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ უშუალოდ, მათი თავმჯდომარეების ან კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად შექმნილი მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიების მეშვეობით. ცალკეული კომისია იქმნება და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს, ხოლო სკოლის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებზე - სკოლის საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

მე-4 მუხლის მოცემული რედაქცია ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრიდან

5. აკადემიური საბჭო

1. აკადემიური საბჭო არის დაწესებულების მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც:

ა) იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ასევე დაწესებულების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ბ) ამტკიცებს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას;

გ) იღებს გადაწყვეტილებას სკოლის ჩამოყალიბების ან რეორგანიზაციის, ასევე, – თუ აღარ არსებობს სკოლის დამოუკიდებული სტრუქტურული ერთეულის სახით ფუნქციონირების მიზანშეწონილობა, – მისი გაუქმების შესახებ;

დ) საკუთარი ინიციატივით ან შესაბამისი სკოლის საბჭოს წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და ცვლილების შესახებ;

ე) განსაზღვრავს დაწესებულების საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების პირობებს და ამტკიცებს შესაბამის დებულებებს;

ვ) ამტკიცებს დაწესებულების სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, შინაგანაწესს, დაწესებულების ბიუჯეტის შედგენის წესსა და დაწესებულების ბიუჯეტს;

ზ) სკოლის საბჭოს წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას სკოლის საგანმანათლებლო და კვლევითი სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციისა და გაუქმების შესახებ, ასევე - შესაბამისი სკოლის აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზოგადი სქემის დამტკიცების შესახებ;

2. The bodies exercise their authority directly by their chairs or through permanent or temporary commissions created for implementing specific goals. A set up of the separate commission and the rule of its activities is determined by the Academic Board and issues within the school's authority - in accordance to the decision of the Chairman of the School Board.

The revision of Article 4 is effective from September 1, 2023

5. ACADEMIC BOARD

1. The Academic Board shall be the supreme managerial body of the Institution, which shall:

a) make decisions on the amendment of the Institution Charter, also on the reorganization or liquidation of the Institution;

b) approve the strategic development plan of the Institution;

c) make decisions of the establishment or reorganization of a School, also - when the operation of a School as an independent structural entity is no more reasonable - on the abolishment thereof;

d) make decisions on the development, implementation and modification of the educational and scientific-research programs at its own initiative or under a submission of the respective School;

e) define the terms and conditions of pursuing educational and scientific-research activities of the Institution and approve the respective regulations;

f) approve the structure of the Institution, regulations of structural units, internal regulation, the procedure of making the Institution budget, and the Institution budget;

g) make decisions of the establishment, reorganization and abolishment of educational and research structural units of a School under the submission of the School Board, also on the approval of the general workload scheme of the academic personnel of the respective School;

h) approve the procedure of recruitment of the academic personnel, main criteria of this procedure is defined by Georgian legislation and can be based on any exceptional rule established by the law for that moment, while additional university criteria are defined by the regulation of educational and research

თ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, რომელშიც ძირითადი კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის შეიძლება ეფუძნებოდეს იმ მომენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ნებისმიერ საგამონაკლისო წესს, ხოლო საუნივერსიტეტო დამატებითი კრიტერიუმები - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებით. აკადემიური პერსონალის შერჩევა ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

ი) იღებს გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისთვის აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის შესახებ;

კ) ამტკიცებს დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

ლ) უფლებამოსილია, ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება თავმჯდომარეს;

მ) ახორციელებს დაწესებულების საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის დაწესებულების ყველა ის აფილირებული პროფესორი, რომლის დატვირთის სქემაშიც დაფიქსირებულია აკადემიური საბჭოს საქმიანობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის ნება (აკადემიური საბჭოს წევრად მიღება).
3. პროფესორის აფილირება გულისხმობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას, ასევე ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობას უნივერსიტეტის სახელით.
4. აკადემიური საბჭოს წევრები ხმათა უმრავლესობით 2 წლის ვადით ირჩევენ თავმჯდომარეს (რექტორს), რომელიც ორგანიზებას უწევს აკადემიური საბჭოს საქმიანობას, მათ შორის იწვევს და ხელმძღვანელობს მის სხდომებს, ხელს აწერს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებს და კურსდამთავრებულისთვის აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს. ერთი და იგივე პირი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
5. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დატოვება აკადემიური საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძველია (აკადემიური საბჭოს

activity implementation. Selection of the academic staff is based on principles of openness, transparency, equality and fair competition;

i) make decision on issuing the document that asserts the academic qualification of the graduate;

j) approve the procedure of recruitment, remuneration and working conditions of the Support and Administrative Staff;

k) be entitled to pre-term terminate the authorization of the Chairperson;

l) discharge the other powers related to other educational and research activities of the Institution.

2. The Academic Board consists of all the affiliated Professors of the Institution, in whose workload scheme the permission to participate as a member of the Academic Council is fixed (Acceptance as a member of the Academic Board).
3. Affiliation of the Professors implies educational and scientific activities and promotion of innovations on behalf of the University.
4. The Members of Academic Board chose a Chairperson (Rector) for 2-year term by majority of votes, who organizes the activities of the Academic Board, among them to convene and lead its meetings, sign the decisions of the Academic Board and the documents confirming the awarding of academic qualifications to the graduate. The same person can be elected as the Chairperson of the Academic Board only two consecutive terms.
5. Resignation from the academic position of a Professor shall serve as the ground for the termination of the membership of the Academic Board (Leaving the membership of the Academic Board) In addition, a member of the Academic Board may be expelled by the decision of the Board if he violates the goals of the University and essentially harms the business reputation of the University.
6. A session of the Academic Board shall be convened under the initiative of the Chairperson or at least 1/3 of the members, no less than 5 days before the date of the meeting by any form of notice to the members. A session of the Academic Board shall be plenipotentiary when 1/3 or more of the members thereof participate in it.
7. The Academic Board shall make decisions unanimously, on the basis of a consensus. The voting can be done via electronic media (amongst them, via

წევრობიდან გასვლა). ამასთან, აკადემიური საბჭოს წევრი საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაირიცხოს თუ ის არღვევს უნივერსიტეტის მიზნებს და არსებითად ლახავს უნივერსიტეტის საქმიან რეპუტაციას.

6. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის ინიციატივით ან წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ, სხდომის თარიღამდე მინიმუმ 5 დღით ადრე წევრებისთვის ნებისმიერი სახით შეტყობინების გზით. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მის საქმიანობაში მონაწილეობს წევრების 1/3 ან მეტი.
7. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, კონსენსუსით. ხმის მიცემა შესაძლებელია ელექტრონული საშუალებების (მათ შორის ელექტრონული ფოსტის) გამოყენებით ან სხდომამდე შედგენილ წერილობით დოკუმენტზე ხელმოწერით.

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2020 წლის 25 თებერვლიდან
მე-5 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების მოცემული რედაქცია ძალაშია 2018 წლის 1 მარტიდან
მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2019 წლის 22 მაისიდან
მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ვ) და კ) ქვეპუნქტები და მე-პუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრიდან

6. (ამოღებულია)

2023 წლის 1 სექტემბრიდან

7. სკოლის საბჭო

1. სკოლის საბჭო არის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელშიც შედის სკოლის აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობა.
2. სკოლის საბჭო:

ა) შეიმუშავებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, ასევე წინადადებებს მათი განხორციელებისა და მოდიფიცირების შესახებ და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ბ) იღებს გადაწყვეტილებას სკოლის საგანმანათლებლო და კვლევითი სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციისა და გაუქმების შესახებ, ასევე შეიმუშავებს სკოლის აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზოგად სქემას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

გ) ანიჭებს კურსდამთავრებულს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას

the e-mail) or through signing the written document drafted before the session.

The revision of paragraph 2 of Article 5 is effective from February 25, 2020
The revision of paragraphs 3 and 6 of Article 5 is effective from March 1, 2018
The revision of paragraph 4 of Article 5 is effective from May 22, 2019
The revision of sub-clause f) and j) of paragraph 1 of Article 5 and Article 6 is effective from September 1, 2023

6. (DELETED)

From September 1, 2023

7. SCHOOL BOARD

1. The School Board is a Representative Authority of the School, consisting of all the Academic Personnel of the School concerned.
2. The School Board shall:

a) develop educational and scientific-research programs, also the proposals concerning their implementation and modification and submit these proposals to the Academic Board;

b) make decisions on the establishment, reorganization and abolishment of the educational research structural units of the School, also develop the general workload scheme of the School academic personnel and submit it to the Academic Board for approval.

c) grant the graduates qualification provided by the respective program and submit the petition to the Academic Board on issuing the diploma that asserts this.

d) make the School draft budget and submit it to the Academic Board;

e) be entitled to dismiss the School Dean before the term;

f) make decisions with regard to any issue related to School activities.

3. The members of the School Board shall elect the School Dean for a period of 2 years by the majority of votes. The Dean shall manage the activities of the School Board, amongst them: convene and chair its sessions, sign the decisions of the School Board and the document that asserts the academic qualification of the graduate. One and the same person can be

და აყენებს შუამდგომლობას აკადემიური საბჭოს წინაშე ამის დამადასტურებელი დიპლომის გაცემაზე;
დ) შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ე) უფლებამოსილია, ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება სკოლის დეკანს;
ვ) წყვეტს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხს.

3. სკოლის საბჭოს წევრები ხმათა უმრავლესობით 2 წლის ვადით ირჩევენ სკოლის დეკანს, რომელიც ორგანიზებას უწევს სკოლის საბჭოს საქმიანობას, მათ შორის: იწვევს და ხელმძღვანელობს მის სხდომებს, ხელს აწერს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებებს და კურსდამთავრებულისთვის აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს. ერთი და იგივე პირი სკოლის დეკანად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
4. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დატოვება სკოლის საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძველია.
5. სკოლის საბჭოს სხდომა მოიწვევა დეკანის ინიციატივით ან წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ, სხდომის თარიღამდე მინიმუმ 5 დღით ადრე წევრებისთვის ნებისმიერი სახით შეტყობინების გზით. სკოლის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მის საქმიანობაში მონაწილეობს წევრების 1/3 ან მეტი.
6. სკოლის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, კონსენსუსით. ხმის მიცემა შესაძლებელია ელექტრონული საშუალებების (მათ შორის ელექტრონული ფოსტის) გამოყენებით ან სხდომამდე შედგენილ წერილობით დოკუმენტზე ხელმოწერით.
7. კვორუმის არარსებობის ან გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, ინიშნება ახალი სხდომა, რომელიც უფლებამოსილია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2019 წლის 22 მაისიდან
მე-6 მუხლის და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრიდან

8. ხარისხის უზრუნველყოფა

1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე დაწესებულების

elected to the office of the School Dean only twice in a raw.

4. Resignation from the academic office of a Professor shall become ground for the termination of the membership of a School Board.
5. A session of the School Board shall be convened under the initiative of the Dean or of at least 1/3 of its members, no less than 5 days before the date of the meeting by any form of notice to the members. A session of the Academic Board shall be plenipotentiary when 1/3 or more of the members thereof participate in its activities.
6. The School Board shall make decisions unanimously, on the basis of a consensus. The voting can be done via the electronic media (amongst them, via the e-mail) or through signing the written document drafted before the session.
7. In case of lack of quorum or failure to make a decision on the basis of a consensus, a new session shall be convoked, which is plenipotentiary regardless of the number of participants.

The revision of paragraph 3 of Article 7 is effective from May 22, 2019
The revision Article 6 and of sub-clause d) of paragraph 2 of Article 7 is effective from September 1, 2023

8. QUALITY ASSURANCE

1. The assessment of the educational and scientific-research activities as well of professional development of the Institution personnel shall be undertaken by Quality Culture Committee. and it includes at least one representative of each School. The Committee is managed by a chairman elected by the members.
2. Quality assurance is the part of the terms and conditions set by the Academic Board for carrying out the educational and scientific-research activities and is based on the principle: "plan-do-check-act" (PDCA). It shall also provide for the existence of quality assurance system at School level as well.
3. The Quality Assurance Office shall promote the introduction of modern methods of teaching and evaluation, annual self-evaluation of the Institution and develop recommendations, which are reflected in the strategic development plan of the Institution.

პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას ახორციელებს ხარისხის კულტურის კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შედის თითოეული სკოლის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი. კომიტეტს ხელმძღვანელობს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე.

2. ხარისხის უზრუნველყოფა არის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების პირობების ნაწილი და ეფუძნება პრინციპს: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე". იგი ითვალისწინებს სკოლის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობასაც.
3. ხარისხის კულტურის კომიტეტი ხელს უწყობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც აისახება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრიდან

9. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სტუდენტი უფლებამოსილია, აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში.
2. სტუდენტური თვითმმართველობის შექმნის გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტთა საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით.
3. სტუდენტთა საერთო კრება ამტკიცებს თვითმმართველობის პირველ დებულებას, რომელიც უნდა შეიცავდეს: სტუდენტურ თვითმმართველობაში სკოლებიდან წარმომადგენლების რაოდენობას, წევრების არჩევის წესსა და ვადას; გადაწყვეტილების მიღების წესს; დებულებაში ცვლილების შეტანის წესს.

მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოცემული რედაქცია ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრიდან

10. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. დაწესებულების წარმომაგენლობითი უფლებამოსილება აქვს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს.
2. შიდა ურთიერთობაში აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია იმოქმედოს ამ წესდებით მისთვის განსაზღვრული

The revision of paragraph 1 of Article 8 is effective from September 1, 2023

9. STUDENTS' SELF-GOVERNANCE

1. A student shall be entitled to elect a Representative and be elected in Students' Self-governance.
2. A decision on the creation of Students' Self-governance shall be made at the General Meeting of Students by the majority of votes.
3. The General Meeting of Students shall approve the first regulation of Self-governance, which should provide for the number of the representatives of the Schools in Students' Self-governance, the procedure of election of the members and their term of office; the decision-making procedure; the procedure of amendment of the Regulation.

The revision of paragraph 3 of Article 9 is effective from September 1, 2023.

10. REPRESENTATION AUTHORITY

1. The authority to represent the Institution shall be vested with the Chairperson of the Academic Board. In internal relationships, the Chairperson of the Academic Board shall be required to act within the terms of reference provided for him/her by this Charter. He/she shall be personally liable to the Institution for any damage resulting from the breach of this obligation.

The revision of Article 10 is effective from September 1, 2023.

11. DECISION-MAKING IN COLLEGIAL BODIES AND CRISIS MANAGEMENT

1. The principle of making decisions by consensus applies in collegial bodies of the University. In case of failure to make a decision, a working group is formed from the members of the Board with different positions at the Session, the meetings of which are coordinated by the Chairperson of the Relevant Body.
2. The working group analyzes the reasons for the failure to make a decision, develops a compromise option for the decision and convenes a new session.

უფლებამოსილების ფარგლებში. ამ ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ის დაწესებულების წინაშე პასუხს აგებს პერსონალურად.

მე-10 მუხლის მოცემული რედაქცია ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრიდან

11. გადაწყვეტილების მიღება კოლეგიურ ორგანოებში და კრიზისული მენეჯმენტი

1. უნივერსიტეტის კოლეგიურ ორგანოებში მოქმედებს გადაწყვეტილებების კონსესუსით მიღების პრინციპი. გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, სხდომაზე განსხვავებული პოზიციის მქონე საბჭოს წევრებისგან იქმნება სამუშაო ჯგუფი რომლის შეხვედრებსაც კოორდინირებას უწევს შესაბამისი ორგანოს თავმჯდომარე.
2. სამუშაო ჯგუფი აანალიზებს გადაწყვეტილების ვერ მიღების მიზეზებს, შეიმუშავებს გადაწყვეტილების კომპრომისულ ვარიანტს და იწვევს ხელახალ სხდომას. ხელახალი სხდომა უნდა გაიმართოს თავდაპირველი სხდომის ჩატარებიდან ერთი თვის განმავლობაში.
3. იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილების მიღება განმეორებით სხდომაზეც შეუძლებელია, ან სხდომაზე არ არის კვორუმი ან რაიმე სხვა საფუძვლით ვერ ხერხდება სხდომის მოწვევა, გადაწყვეტილება მიიღება მეურვეთა საჭოს მიერ. მეურვეთა საბჭო არ არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო და კრიზისულ მენეჯმენტს ახორციელებს როგორც დამფუძნებელი.

მე-11 მუხლი ძალაშია 2019 წლის 8 ნოემბრიდან.

The re-session must be held within one month after the initial session.

3. When it is impossible to make a decision even at a repeated session, or there is no quorum at the session or it is not possible to convene the meeting for any other reason, the decision is made by the Board of Trustees. The Board of Trustees is not a governing body of the University and carries out crisis management as the founder.

The revision of Article 11 is effective from November 8, 2019.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №1101
თარიღი "01" სექტემბერი 2023 წ.
გვ.რაოდენობა 9 ... ხელმოწერა